



შესვლა

გვერდი, საიდანაც შედიხართ თქვენ ბიზნეს სივრცეში. აქედანვე შეგიძლიათ ნახოთ უსაფრთხოების ნორმები, დაგვიკავშირდეთ, გადახვიდეთ ფიზიკური პირი პირის ინტერნეტბანკზე, შეცვალოთ ენა.

მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანის შემდეგ, შეგიძლიათ მონიშნოთ "დამახსოვრება" - ყოველ შემდეგ შემოსვლაზე, მომხმარებლის სახელი დაგხვდებათ შევსებული.

თუ არ გახსოვთ პაროლი, შეგიძლიათ განაახლოთ ღილაკზე "დაგავიწყდა?" დაჭერით



<u>ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ</u>

მომხმარებელი COMPANY

პაროლი

🔽 ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ

დაგავიწყდა?







პაროლის განახლება

1. შეიყვანეთ მომხმარებლის სახელი და მობილურის ნომერი, რომელიც ამ მომხმარებელზეა დარეგისტრირებული და დააჭირეთ ღილაკს - შემდეგი

2. შეიყვანეთ SMS კოდი, რომელსაც მიიღებთ თქვენ ნომერზე. თუ ხელმომწერი მომხმარებელი ხართ, გამოგიჩნდებათ ველი დიჯიპას კოდისთვის, შეიყვანეთ ეს კოდიც. დააჭირეთ ღილაკს შემდეგი

3. დააყენეთ ახალი პაროლი

მენიუ და მთავარი გვერდი

მთავარ გვერდზე ნახავთ შეჯამებულ ინფორმაციას ანგარიშები, დეპოზიტები, სესხები, გარანტიები ქვევით იხილავთ ტრანზაქციის ისტორიას, სავალუტო კურსებსა და ბანერს. მარცხენა მხარეს არის განთავსებული მენიუ, რომელიც მუდამ თან დაგყვებათ და გეხმარებათ მარტივ ნავიგაციაში. მენიუში ასევე იხილავთ ხელმოსაწერი ტრანზაქციების რაოდენობას.

ასევე, ყველა გვერდზე დაინახავთ სათაურს - აქ შეგიძლიათ გამოიყენოთ ძიების სისტემა და მოძებნოთ ტრანზაქციები, ნახოთ ნოტიფიკაციები, შეტყობინებები, გადახვიდეთ სხვა პროფილზე ან გამოხვიდეთ სისტემიდან.

აიაისი ა	ᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ	მოძებნე ტრანზაქ	ცია ან გვერდ	0			Q (1				
მენიუ		ანმარიშები და 152.43 GE) ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ L	დეკოზ 3 26	58.30 GEL	ьэььэъл 21 12	5 588.00	GEL	^{გარანბი:} 846 3	ი 34.14	GEL
მთავარი გვერდი		8								8306	ᲚᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ
პროდუქტები	~	💽 ჩემი ანგ	არიში		მიმდინარე					1	138.10 GEL
ტრანზაქციები	37 ~										
გადარიცხვები	~	ծጣᲚᲝ ᲢᲠᲐᲜᲖᲐ 	060000			2.6	+Formero				~~~~~
გადახდები	~	03mn@n	യാറെപ്പെസിറ്റം	5		350	0000000				2 00 CEL
შაბლონები		22 036 2019									2.00 GEL
ვალუტის კურსები		22 036 2019									- 7.00 GEL
შეთავაზებები	~	ຓფიციალუᲠი	3ᲣᲠᲡᲔᲑᲘ								
პარამეტრები	~										
დახმარება			ყიდვა	გაყიდვა		ყიდვა	გაყიდვა			ყიდვა	გაყიდვა
		ოფიციალური	2.8895	0.0018	ოფიციალური	3.2045	-0.0032	ოფიცია	ილური	3.7748	0.0072
		კომერციული	2.921	2.851	კომერციული	3.261	3.141	კომერც	აიული	3.857	3.727
		სპეციალური	2.921	2.851	სპეციალური	3.261	3.141	სპეციაღ	ლური	3.857	3.727





შეავსე ბიზნეს სესხის განაცხადი ონლაინ



პროდუქტები

- ანგარიშები და ბარათები
- დეპოზიტები
- სესხები
- გარანტიები



ანგარიშები და ბარათები

მენიუ>პროდუქტები>ანგარიშები და ბარათები

მთავარ გვერდზე ჩანს ანგარიშებისა და ბარათების ჯამური თანხა. აქ დაჭერით, შეგიძლიათ თქვენი ანგარიშებისა და ბარათბის სია ნახოთ. თუ უფრო მეტი ანგარიშისა და ბარათის ნახვა გსურთ, დააჭირეთ ღილაკს "ყველა ანგარიშიი".ანგარიშის დეტალების სანახავად დააჭირეთ კონკრეტულ ანგარიშს.

ანგარიშისთვის სახელის გადასარქმევად მიიტანეთ კურსორი სახელთან, სადაც გამოჩნდება ფანქარი. დააჭირეთ და შეცვალეთ სახელი.

ქვევით ჩანს ამ ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციები. ბარათის შემთხვევაში ქვედა მენიუში ჩანს ბლოკირებული თანხები და ბარათის დეტალები.

სწრაფი ქმედებები - შესაბამის ღილაკზე დაჭერით შეგიძლიათ ამ ანგარიშის ამონაწერზე გადახვიდეთ ან გააკეთოთ გადარიცხვა.





დეპოზიტები

მენიუ>პროდუქტები>დეპოზიტები

მთავარ გვერდზე ჩანს დეპოზიტების ჯამური თანხა. აქ დაჭერით, შეგიძლიათ თქვენი დეპოზიტების სია ნახოთ. დეპოზიტის დეტალების გვერდზე მენიუდან მოხვდებით ან მთავარი გვერდიდან კონკრეტულ დეპოზიტზე დაჭერით. შეგიძლიათ ნახოთ დეპოზიტის დეტალები, ამონაწერი, პროცენტის გამოთვლა, პროცენტი დეპოზიტის

დარღვევისას.

სესხები

მენიუ>პროდუქტები>სესხები

მთავარ გვერდზე ჩანს სესხების ჯამური თანხა. აქ დაჭერით, შეგიძლიათ თქვენი სესხების სია ნახოთ. სესხის დეტალების გვერდზე მენიუდან მოხვდებით ან მთავარი გვერდიდან კონკრეტულ სესხზე დაჭერით.

შეგიძლიათ ნახოთ სესხის დაგეგმილი გრაფიკი, გადახდების ისტორია და დეტალები

საკრედიტო ხაზის ათვისება და დაფარვა

მენიუ>პროდუქტები>სესხები>საკრედიტო ხაზი

თქვენ შეგიძლიათ დამტკიცებული საკრედიტო ხაზის ათვისება და დაფარვა. ამისთვის, შედით თქვენი საკრედიტო ხაზის დეტალებში. დააჭირეთ ღილაკს "ათვისება" ან "დაფარვა" და მიჰყევით პროცესს. ათვისების დადასტურება შესაძლებელია ამავე გვერდზე, ან განაცხადების ისტორიის გვერდზე მენიუ>შეთავაზებები>განცხადებები აირჩიეთ სასურველი ოპერაცია და დაადასტურეთ დიჯიპასის საშუალებით.

გარახტიები

მენიუ>პროდუქტები>გარანტიები

მთავარ გვერდზე ჩანს გარანტიების ჯამური თანხა. აქ დაჭერით, შეგიძლიათ თქვენი გარანტიების სია ნახოთ. გარანტიის დეტალების გვერდზე მენიუდან მოხვდებით ან მთავარი გვერდიდან კონკრეტულ გარანტიაზე დაჭერით. შეგიძლიათ ნახოთ გარანტიის დაგეგმილი გრაფიკი, , გადახდების ისტორია, დეტალები

გადარიცხვები

- საკუთარ ანგარიშებზე
- სხვასთან
- სახაზინო
- ჯგუფური
- ავტომატური გადარიცხვები



გადარიცხვები

მენიუ > გადარიცხვები > სასურველი გადარიცხვის ტიპი

სასურველი გადარიცხვის ტიპის არჩევის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება შესაბამისი გადარიცხვის ფორმა. საჭირო ინფორმაციის შეყვანის შემდეგ, დააჭირეთ ღილაკს "გადარიცხვა" - ეს ნიშნავს რომ ტრანზაქცია შეიქმნა და მიმდინარე დავალებებში ჩავარდა "დასაავტორიზებელი" სტატუსით. თქვენ გადარიცხვის გვერდზევე შეგიძლიათ დაადასტუროთ ტრანზაქცია, ან დახუროთ და შემდეგ მიმდინარე დავალებების გვერდიდან დაადასტუროთ. თუ არ გსურთ ტრანზაქციის დასრულება და ხელმოსაწერად გამზადება, არამედ გინდათ შენახვა, დააჭირეთ ღილაკს "დროებით შენახვა". ასეთი ტრანზაქციები გამოჩნდება მიმდინარე დავალებებში, სტატუსით

ლილაკა "დოოებით შენანვა". ასეთი ტოანნაქციები "შენახული"

ავტომატური გადარიცხვის შემთხვევაში, გადარიცხვის ავტორიზაცია ხდება ამავე გვერდზე.



ჯგუფური ფაილების ატვირთვა

მენიუ>გადარიცხები>ჯგუფური

ჯგუფური ფაილის შექმნის დეტალებისთვის გადადით გვერდზე "დამხმარე ფაილები" საიდანაც შეგიძლიათ მაგალითებისა და ინსტრუქციების გადმოწერა.

მზა ფაილი შეგიძლიათ პირდაპირ ჩააგდოთ ინტერნეტბანკში ან დააჭიროთ ღილაკს "ატვირთეთ" და აირჩიოთ სასურველი ფაილი.

სანამ ფაილი იტვირთება, თვენ შეგიძლიათ გააგრძელოთ მუშაობა სხვა გვერდებზე. როდესაც ფაილი აიტვირთება, ინფორმაციას მიიღებთ შეტყობინების სახით. ზარს გამოუჩნდება ნიშანი. აქ შეგიძლიათ ნახოთ, წარმატებით აიტვირთა ფაილი თუ წარუმატებლად ჯგუფური გადარიცხვა დამხმარე ფაილები







გადახდები

- კომუნალური
- მობილურის შევსება
- ჯარიმები
- ავტომატური გადახდები

მენიუ

მთავარი გვერდი	
პროდუქტები	\sim
ტრანზაქციები 319	\sim
გადარიცხვები	\sim
გადახდები	^
კომუნალური	
მობილურის შევსება	
ჯარიმები	
ავტომატური გადახდები	

გადახდები

მენიუ > გადახდები

ამ სექციაში შეგიძლიათ ნახოთ კომუნალური გადახდები, მობილურის შევსება და ჯარიმის გადახდა. აქვეა ავტომატური გადახდების ფუნქციონალი. თუ ადგილზე არ მოაწერთ დავალებებს ხელს, შექმნილი ტრანზაქციები ვარდება მიმდინარე დავალებებში "დასაავტორიზებელი" სტატუსით.

ავტომატური გადახდების შემთხვევაში, დავალების ავტორიზაცია ხდება ამავე გვერდზე.



ტრანზაქციები

- ისტორია
- დავალებები
- ამონაწერი
- ჯგუფური ტრანზაქციები



ტრანზაქციების ისტორია

მენიუ> ტრანზაქციები> ისტორია

ამ გვერდზე ყველა ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციები ჩანს. თქვენ შეგიძლიათ ექსპორტი excel, xml, csv ფორმატში ექსპორტის ღილაკზე დაჭერით

შესაძლებელია რამდენიმე საგადახდო დავალების დაბეჭდვა - დააჭირეთ ბეჭდვის ღილაკს აირჩიეთ 10-მდე ტრანზაქცია დააჭირეთ ბეჭდვის ღილაკს კიდევ ერთხელ

შეგიძლიათ მთლიან ეკრანზე მხოლოდ ისტორია გამოაჩინოთ შესაბამის ღილაკზე დაჭერით. ამ შემთხვევაში მენიუ და სათაური დაიმალება E 7. 14 AL



- 4	_ P

 \downarrow

ტრანზაქციის ისტორიის ფილტრები

ტრანზაქციის ისტორიის თავზე არის სწრაფი ფილტრები: ძებნა - აქ შეგიძლიათ ჩაწეროთ მიმღები, ანგარიშის ნომერი, დანიშნულება და შესაბამისი ტრანზაქციები გამოგიჩნდებათ მხოლოდ.

ანგარიში - აირჩიეთ რომელი ანგარიშის ტრანზაქციები გსურთ თარიღი

შენახული ფილტრები - თქვენ შეგიძლიათ დაიმახსოვროთ ხშირა გამოყენებადი ფილტრები და აღარ მოგიწევთ თავიდან აწყობა. თუ გსურთ მეტი პარამეტრით დაფილტრვა, დააჭირეთ ღილაკს "ფილტრები".

თუ შექმნილი ფილტრი არის ისეთი, რომელსაც ხშირად იყენებთ, შეგიძლიათ მონიშნოთ "ფილტრის შენახვა" დაარქვათ სახელი და მომავალში გამოიყენოთ.

ფილტრების გასააქტიურებლად დააჭირეთ ღილაკს "გაფილტრვა".

ფილტრების ცვლილება ან წაშლა შესაძლებელია შესაბამის ღილაკებზე დაჭერით. თუ რამდენიმე ფილტრიდან რამდენიმეს მოშორება გინდათ, დააჭირეთ ნიშნულს 😠 ფილტრის გვერდით.

ფილტრები:

აირჩიეთ ანგარიში 🗸 🔻		•	ყველა ვალუტა	-		
თარიღიდან 24/01/2019	თარიღამდე 24/01/2020		თანხიდან	თანხამდე		
დანიშნულება ხელფასი			აირჩიეთ ტიპი	•		
დამატებითი დანი	იშნულება		პარტნიორის ანგარ	რიშის ნომერი		
პარტნიორის სახე	ელი		საბუთის ნომერი 1579785504			
პარტნიორის საგა	ადასახადო კოდი					
🔲 ფილტრის წ	მენახვა			8000000		

ᲒᲐᲤᲘᲚᲢᲠᲕᲐ



ამონაწერი

მენიუ>ტრანზაქციები>ამონაწერი

ამონაწერის გვერდზე შეგიძლიათ აარჩიოთ კონკრეტული ანგარიში, რომელზეც ინფორმაციის მიღება გსურთ ამონაწერის ფორმატში. აქვეა თარიღისა და სტატუსის ფილტიც.

ამონაწერს აქვს 4 ტიპის ექსპორტის საშუალება - PDF, Excel, XML, CSV.

შესაბამისი ღილაკების მონიშვნით, შეგიძლიათ ნახოთ დღიური ბრუნვა ან ექვივალენტი ლარში.

მიმდინარე დავალებები

მენიუ>ტრანზაქციები>მიმდინარე

მიმდინარე დავალებებში მხოლოდ სათითაოდ გაკეთებული ტრანზაქციებია. ჯგუფური ფაილით ატვირთული ტრანზაქციებისთვის ცალკე გვერდია - ჯგუფური ტრანზაქციები. მიმდინარე დავალებების გვერდზე შესვლისას ყველა ტრანზაქცია ჩანს, სწრაფი ფილტრით "ჩემი ხელმოსაწერი" შეგიძლიათ ნახოთ თქვენი ხელმოსაწერი ტრანზაქციები.

- ნებისმიერი სტატუსის სანახავად შეგიძლიათ გამოიყენოთ ძირითადი ფილტრებიდან "სტატუსი". • დასაავტორიზებელი - ყველა ტრანზაქცია, რომელსაც სჭირდება ავტორიზაცია •მიმდინარე - ხელმოწერილი ტრანზაქციები, რომელიც მომავალი თარიღითაა შექმნილი ან გადარიცხვის
- პროცესშია
- •შენახული ე.წ. დრაფტები ტრანზაქციები, რომლებზეც მუშაობა არ დაგისრულებიათ •უარყოფილი / გაუქმებული - ტრანზაქციები, რომელიც სისტემურად უარყოფილია ან თქვენ გააუქმეთ
- დასრულებული დასრულებული ტრანზაქციები

მიმდინარე დავალებები - ხელმოსაწერი

ხელმოსაწერი დავალებების რაოდენობა ჩანს მენიუზე. მას შემდეგ, რაც მონიშნავთ "სჭირდება ჩემი ხელმოწერა", გამოჩნდება ტრანზაქციები, რომლებსაც სჭირდება თქვენი ავტორიზაცია. შეგიძლიათ გახსნათ და სათითაოდ დააავტორიზოთ ან გააუქმოთ, ან აირჩიოთ რამდენიმე და ერთად დააავტორიზოთ, ან გააუქმოთ.



)F)Რ()	ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲠ Ი ᲪᲮ:	3080	
დეკ 2019	9 – 28 იან 2020 🏾 🖽	სტატუსი ყველა ▼	ᲤበᲚᲢᲠᲔᲑᲘ
ჩემი რა	🗆 ჩემი შექმნი	ილი მადახდები მომავალი ილი თარიღით	ŦĽ ⊥
	საბუთის ნომერი	ტრანზაქციის სტატუსი	თანხა
	1580195587	ავტორიზაციის მოლოდინში	- 51 000.00 GEL
	1580114264	ავტორიზაციის მოლოდინში	- 12.00 GEL
	1580054632	ავტორიზაციის მოლოდინში	- 12.00 GEL
	1579728483	ავტორიზაციის მოლოდინში	- 55.00 GEL
	1579728396	ავტორიზაციის მოლოდინში	- 85.00 GEL



ტრანზაქციის დეტალები

ტრანზაქციის დეტალების სანახავად დააჭირეთ ნებისმიერ ტრანზაქციას. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ორ ვიზუალს შორის ერთერთი. ვიზუალებს შორის გადართვა შეგიძლიათ **ქ** ღილაკზე დაჭერით.

ტრანზაქციებს შორის მოძრაობა შეგიძლიათ კლავიატურაზე არსებული მარცხენა და მარჯვენა ისრით.

ასეთი ვიზუალები ვალიდურია ტრანზაქციების ოთხივე გვერდზე.



ჯგუფური ტრანზაქციები

მენიუ>ტრანზაქციები>ჯგუფური

ამ გვერდზე შეგიძლიათ ნახოთ ატვირთული ჯგუფური ფაილები. თქვენ შეგიძლიათ ერთად რამდენიმე ჯგუფური ფაილი დააავტორიზოთ ან გააუქმოთ. ასევე შესაძლებელია ჯგუფური ფაილების ინდივიდუალურად დაავტორიზება. შესაძლებელია ჯგუფური ფაილიდან კონკრეტულ ტრანზაქციებზე ოპერაციების გატარება - გაუქმება, გამეორება, შაბლონად შენახვა, ცვლილება.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფური ფაილი წარუმატებლად აიტვირთა, შეგიძლიათ ფაილი ინტერნეტბანკშივე დაამუშავოთ. ამისთვის შედით ჯგუფური ფაილის დეტალებში და დააჭირეთ ღილაკს "შესწორება" და შეასწორეთ არასწორი ველები. ამის შემდეგ შეძლებთ ფაილის ავტორიზებას.

შაბლონები

მენიუ>შაბლონები

ამ გვერდზე შეგიძლიათ მართოთ თქვენი შაბლონები - დაამატოთ, შეცვალოთ, წაშალოთ, მოძებნოთ და გადარიცხოთ. აქვეა სანდო ანგარიშების ფუნქციონალიც. შაბლონის შექმნისას ან ცვლილებისას მონიშნეთ "სანდო ანგარიში". ტრანზაქციის შექმნის შემდეგ, ტრანზაქციის დეტალებში გამოჩნდება სანდოობის ნიშნული, რაც ნიშნავს, რომ ეს ანგარიში თქვენს მიერ იდენტიფიცირებულია.

ვალუტის კურსები

მენიუ> ვალუტის კურსები

ამ გვერდზე შეგიძლიათ ნახოთ ვალუტის კურსები, აქვეა კალკულატორი. თუ გაინტერესებთ კონკრეტული ვალუტის კურსის ისტორიაა, დააჭირეთ ამ ვალუტის კურსს და გამოგიჩნდებათ გრაფა. აქვე არის სხვადასვა ფილტრის დადების საშუალება და ექსპორტი სამ სხვადასხვა ფორმატში -Excel, XML, CSV

შეთავაზებები

მენიუ> შეთავაზებები > მიმდინარე

ამ გვერდზე შეგიძლიათ ნახოთ მიმდინარე შეთავაზებები და შეავსოთ განაცხადები.

მენიუ>შეთავაზებები> განცხადებები თქვენი განცხადებების ისტორია შეგიძლიათ ნახოთ ამ გვერდზე. აქედანვე შეგიძლიათ დააავტორიზოთ ან უარყოთ თქვენი განცხადებები.



პარამეტრები

- საკონტაქტო
- უსაფრთხოება
- ანგარიშები
- მომხმარებლების მართვა
- როლები
- ხელმოწერის წესები

პარამეტრები

საკონტაქტო

უსაფრთხოება

ანგარიშები

მომხმარებლების მართვა

როლები

ხელმოწერის წესები

~

პარამეტრები

მენიუ> პარამეტრები > საკონტაქტო - საკონტაქტო ინფორმაციის შევსება / ცვლილება შესაძლებელია ამ გვერდიდან

მენიუ>პარამეტრები>უსაფრთხოება - მომხმარებლის სახელის ან პაროლის ცვლილება ან ორდონიანი ავტორიზაციის გამორთვა / ჩართვა შესაძლებელია ამ გვერდიდან

მენიუ>პარამეტრები> ანგარიშები - ანგარიშების გამოჩენა / დამალვა ან ფავორიტად არჩევა შესაძლებელია ამ გვერდიდან.

მომხმარებლების მართვა

მენიუ> პარამეტრები> მომხმარებლების მართვა

ადმინ მომხმარებელს შეუძლია ახალი არახელმომწერი მომხმარებლები შექმნას, არსებულები წაშალოს, განუახლოს პაროლი, დაბლოკოს ან განბლოკოს.

მენიუ> პარამეტრები> როლები ამ გვერდიდან შესაძლებელია ახალი როლების დამატება, არსებულების წაშლა ან რედაქტირება

მენიუ> პარამეტრები> ხელმოწერის წესები

ამ გვერდზე შესაძლებელია არსებული ხელმოწერის წესების ნახვა.

პროფილების დაკავშირება

ბიზნეს და ფიზიკური პირის ინტერნეტბანკის პროფილების გადაბმა შესაძლებელია ბიზნეს ინტერნეტბანკიდან. ამისთვის, პროფილების სივრცეში უნდა დააჭიროთ ღილაკს "პირადი პროფილის დამატება"

პირველი პროფილი, რაც უნდა გადააბათ, არის პირადი პროფილი.

გადაბმის შემდეგ, პირადი ინტერნეტბანკის მომხმარებლის სახელითა და პაროლით შეხვალთ როგორც ბიზნეს, ასევე პირად სივრცეში.

შეგიძლიათ თქვენ პირად პროფილს იმდენი ბიზნეს პროფილი გადააბათ, რამდენსაც ისურვებთ.

დაგჭირდებათ მხოლოდ ერთი მომხმარებლის სახელისა და პაროლის დამახსოვრება და მოძრაობა ბიზნეს პროფილებს შორის მარტივი და სწრაფია. მხოლოდ ჩამოშალეთ პროფილების სივრცე და აირჩიეთ სხვა ბიზნეს პროფილი

შესაძლებელია ასევე ფავორიტი პროფილის არჩევა ვარსკვლავის მონიშვნით, რომელ სივრცეშიც ავტომატურად შეხვალთ ყოველი შესვლისას.

